საინფორმაციო ბიულეტენი | აგვისტო

2 აგვისტოს საბჭოს სხდომა გაიმართა

2 აგვისტოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა ჩატარდა, რომლის ფარგლებში საბჭოს წევრებმა განიხილეს რამდენიმე საკითხი. კერძოდ:
- ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე კანდიდატი და მოქმედი ქალი პოლიტიკოსების გაძლიერების და მხარდაჭერი პროგრამა;
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის სამუშაო ჯგუფის ახალი შემადგენლობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შემოსული წერილი.

ვიზიტი თელავში

16 აგვისტოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელთან, თამარ საბედაშვილთან ერთად თელავის მუნიციპალიტეტს ეწვია.
ვიზიტის ფარგლებში ნინო წილოსანი თელავის ოჯახში ძალადობის მხვერპლთა კრიზისულ ცენტრს ეწვია. იგი ასევე შეხვდა ადგილობრივ მეწარმე და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წევრ ქალებს.

შეხვედრა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში პრემიერ მინისტრის მრჩეველთან

17 აგვისტოს საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში პრემიერ მინისტრის ახალ მრჩეველს, ნიკო თათულაშვილს შეხვდა. გაცნობით შეხვდრაში მხარეებმა გენდერული თანასწორობის გაძლიერების მიმართულებით მიმდინარე ამოცანები განიხილეს და სამომავლო ერთობლივი აქტივობები დაგეგმეს.

გენდერული გავლენის შეფასების რიგით მესამე სამუშაო შეხვედრა

11 აგვისტოს გენდერული გავლენის შეფასების (GIA) რიგით მესამე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში შეფასდა გაწეული სამუშაოს პროგრესი და მიმოხილულ იქნა საკანონმდებლო საქმიანობაში გენდერული გავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის შემუშავებული მოდელები.

შეხვედრა დეკრეტული შვებულების საკითხებზე

11 აგვისტოს საბჭოს ინიცირებით შეხვედრა დეკრეტული შვებულებისა და სოციალური პროგრამის გაფართოების საკითხებზე გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (UN Women) და დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მიიღეს.

შეხვედრა საზოგადოებრივი მაუწყებლის აღმასრულებელ დირექტორთან

24 აგვისტოს საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი საზოგადოებრივი მაუწყებლის აღმასრულებელ დირექტორს, თინათინ ბერძენიშვილს შეხვდა. შეხვედრის ფარგლებში ნინო წილოსანმა წარადგინა საბჭოს მიერ დამუშავებული ინიციატივები საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებრივ მაუწყებელში გენდერული მგრძნობელობის გაზრდას და გენდერული თანასწორობის საკითხების უფრო მეტად პოპულარიზაციას.

საინფორმაციო ბიულეტენი | აგვისტო

საბჭოს ოფიციალური განცხადება

2 აგვისტოს გენდერული თანასწორობის საბჭომ ავსტრალიელი მასწავლებლის, შანაი ბრუკის ტრაგიკული გარდაცვალების ფაქტზე ოფიციალური განცხადება გაავრცელა და კიდევ ერთხელ ღიად დაგმო ქალთა მიმართ გამოხატული ძალადობა.

დასაქმების შესაძლებლობა ქალი პოლიტიკური ლიდერების ქსელში (WPL)

Chief Operating Officer
https://www.womenpoliticalleaders.org/wp-content/uploads/2021/08/2021_COO.pdf

Communications Director
https://www.womenpoliticalleaders.org/wp-content/uploads/2021/08/2021_Director-of-Communications-Programme..pdf

Communications Manager
https://www.womenpoliticalleaders.org/wp-content/uploads/2021/01/Communications-Manager.pdf

Human Resources Manager
https://www.womenpoliticalleaders.org/wp-content/uploads/2021/05/2021_Human-Resources-Manager.pdf

Programme Manager
https://www.womenpoliticalleaders.org/wp-content/uploads/2021/01/Programme-Manager.pdf

Project Manager
https://www.womenpoliticalleaders.org/wp-content/uploads/2021/01/Project-Manager.pdf

Campaign Manager
https://www.womenpoliticalleaders.org/wp-content/uploads/2021/07/2021_-JD_Campaign-Manager.docx.pdf

Resource Mobilisation and Strategic Partnerships Manager
https://www.womenpoliticalleaders.org/wp-content/uploads/2021/08/2021_RM-Partnerships.pdf

Communities Manager
https://www.womenpoliticalleaders.org/wp-content/uploads/2021/08/2021_Communities-Engagement-Manager.-1.pdf

Communities Coordinator
https://www.womenpoliticalleaders.org/wp-content/uploads/2021/05/2021_Communities-Coordinator.docx.pdf

Content Writer
https://www.womenpoliticalleaders.org/wp-content/uploads/2021/08/Content-Writer-JD.docx.pdf